

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ჯეკ ლონდონი

# თეთრი ეშვი



ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე გამყრელიძემ

ილუსტრატორი ნათია კვარაცხელია



გააკურსულაქაურის  
გამომცემლობა

# სარჩივბი

## ნაწილი I.

1. საკბილოს ძეზნაძი.....7
2. ძუ მგელი..... 18
3. შიმშილის ყმული ..... 31

## ნაწილი II.

1. ეშვთა ჳიდილი..... 47
2. მგლის ჳუნავი ..... 60
3. რუხი მგლის ლეკვები ..... 70
4. სამყაროს კედელი ..... 77
5. ნადავლის კანონი..... 91

## ნაწილი III.

1. რეზბლოსნები..... 101
2. მონობა ..... 116
3. გარიყული ..... 127
4. ღმერთების კვლდაკვალ ..... 135
5. ხელშეკრულება..... 142
6. შიმშილობა..... 153

#### ნაწილი IV.

1. თავისი მოდგმის მტერი.....	167
2. გიუი ღმერთი.....	180
3. სიძულვილის საყუფლო.....	192
4. სიკვდილის ზრჯყაღებში.....	199
5. მოუთვინიერებელი.....	215
6. საყვარელი ჰატრონი.....	222

#### ნაწილი V.

1. შორი გზა.....	241
2. სამხრეთი.....	248
3. ღმერთის სამფლობელო.....	258
4. სისხლის ძახილი.....	272
5. მთვლემარე მგელი.....	281

ნახილი I

## საკბილოს ძეგნაში

**ჩ** აშავებული ნაძვენარი პირქუშად იდგა მდინარის გაყინული კალაპოტის ორივე მხარეს. ქარაშოტს ახლახან გაეყრევინებინა ხეებისათვის თოვლის თეთრი საფარველი. ისინი დაისის ბინდბუნდში შავად და ავბედითად იზნიქებოდნენ ერთმანეთისაკენ. მღუმარება გამეფებულიყო ირგვლივ. თვით ადგილიც უდაბური იყო – უსიცოცხლო, უმოძრაო, ისეთი მიყრუებული და ცივი, რომ მასზე მწუხარეც კი არ ითქმოდა. სადღაც თითქოს სიცილის კვალი შეიძლებაოდა, ენიშნა კაცს, მაგრამ ეს სიცილიც ყოველგვარ მწუხარებაზე საზარელი ჩანდა – უსიხარულო, როგორც სფინქსის ღიმილი; ცივი, როგორც ყინული; საზარელი გარდაუვალობის მოზიარე. ეს გახლდათ მბრძანებლური და ენით გამოუთქმელი მარადიული სიბრძნის დაცინვა სიცოცხლის ამოებასა და ცხოვრების საზრუნავზე; ეს იყო ველური, გულგაყინული ჩრდილოეთის მიყრუებული, უდაბური ტევრი.

მაგრამ იქ, სადღაც, მაინც გამომწვევად კიაფობდა სიცოცხლის ნაპერწკალი. გაყინული მდინარის კალაპოტში სამარხილე ნაგაზების გუნდი მიიბრძოდა თავდაღმა. ძაღლების აბურძგნილი ბალანი ყინვას დაეთრთვილა. მათი ნასუნთქი პირიდან ბოლქვებად გამოსვლისთანავე იყინებოდა ჰაერში, ედებოდა ბანჯგვლიან სხეულს და გამჭვირვალე ლოლუებად ეკიდებოდა ზედ. ღვედების მოსართავეები ეკეთათ

ძალეებს და ღვედებითვე იყვნენ გამობმულნი მარხილს, რომელსაც მოათრევდნენ. არყის სქელი ქერქისაგან გაკეთებულ მარხილს კავები არ ჰქონდა და მთელი ზედაპირით ეხებოდა თოვლს. თავი გრაგნილივით ჰქონდა აგრეხილი, რათა იოლად გადაეღახა და ქვეშ მოექცია ფაფუკი თოვლი, რომელიც ტალღებივით ელობებოდა წინ. მარხილზე წაგრძელებული, ვინრო ყუთი იყო საგულდაგულოდ დაკრული. ზედ სხვა ნივთებიც დაეწყოთ – საბნები, ნაჯახები, ყავადანი, ტაფა; მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელსაც ყველაზე მეტი ადგილი ეკავა, მაინც ის მოგრძო, ვინრო ყუთი იყო.

ძალეებს გაჭირვებით მიუძღოდა წინ განიერთხილამურებიანი კაცი. მარხილის ბოლოს მეორე კაცი მოლასლასებდა. მარხილზე, ყუთში, მესამე იწვა, რომელსაც უკვე მოეთავებინა საამქვეყნო ჯაფა – კაცი, რომელიც უდაბურმა ტევრმა დაიმორჩილა და ისე დაანარცხა ძირს, რომ აღარც განძრევა შეეძლო, აღარც ბრძოლა. ჩრდილოეთის უდაბნოს არ უყვარს მოძრაობა. სიცოცხლე მისი შეურაცხმყოფელია, რადგან სიცოცხლე მოძრაობა გახლავთ; უდაბური ჩრდილოეთი კი ყოველთვის ცდილობს მოძრაობის შეჩერებას. იგი ყინავს წყალს, რათა დააბრკოლოს მისი ზღვისკენ დენა; ხეებს უშრობს წვენს, სანამ სულ გულისგულამდე არ გაყინავს მათ; და მაინც ყველაზე მეტი გამძვინვარებითა და სისასტიკით ჩრდილოეთის უდაბნო ადამიანს ეძგერება და ცდილობს მის მოტეხას – ადამიანს, რომელიც სულიერთა შორის ყველაზე დაუდეგარია და მარად ეურჩება იმ წესს, რომლის თანახმადაც ყოველი მოძრაობა, ბოლოს და ბოლოს, ოდესმე უნდა შეწყდეს.

მარხილის წინ და ბოლოს მაინც მიიბრძოდა ორი შეუპოვარი და ქედმოუხრელი ვაჟკაცი, რომლებიც ჯერ კიდევ არ დახოცილიყვნენ. ტანთ ბენვიანი, რბილი ტყავები ეცვათ, მათ

წამნამებს, ღანვეებსა და ბაგეებს ისე შეჰყინვოდა ნასუნთქი, სახეები აღარ ეტყობოდათ. ამიტომ აჩრდილთა ნიღბებს უფრო ჩამოჰგავდნენ. თუმცა, ამ ნიღბების ქვეშ მაინც ადამიანები იყვნენ – შემოჭრილნი უდაბურების, დაცინვისა და დუმილის საუფლოში; თავზეხელალებულნი, უზარმაზარ საქმეს რომ შესჭიდებოდნენ და წინ აღდგომოდნენ მსოფლიოს ძლევამოსილებას, ისევე უცნაურს, უცხოსა და უსიცოცხლოს, როგორც სამყაროს უსასრულობაა.

უსიტყვოდ მიიკვლევდნენ გზას – სუნთქვასაც კი ზოგავდნენ, რომ წინ წასასვლელად ძალა ჰქონოდათ. ირგვლივ მდუმარება სუფევდა, რაც მაჯლაჯუნასავით აწვებოდა და აშფოთებდა მათ გონებას; სრესდა მათ უსაზღვროებისა და გარდაუვალობის კანონის სიმძიმით; აღწევდა მათი გონების უშორეს კუნჭულებში და წურავდა იქიდან ყოველ ყალბ ზრახვასა და გზნებას, ადამიანური სულის გადამეტებული თვითშეფასებისადმი მიდრეკილებას. წურავდა იქამდე, სანამ ეს ადამიანები არ შეიგნებდნენ თავიანთ შეზღუდულობასა და უმწიობას; არ მიიჩნევდნენ თავს პანანინა ნამცეცებად, რომლებიც მცირეოდენი მზაკვრობითა და მოკლე ჭკუით უბრალო სათამაშოები იყვნენ ბუნების ბრმა ძალთა და სტიქიონთა ხელში.

გავიდა ერთი საათი, მეორე საათი. მოკლე, უმზეო დღის გაცრეცილი შუქი უკვე ილეოდა, ჰაერში სუსტი, შორეული ყმუილი რომ გაისმა და ნელა მიწყდა. იგი შეიძლებოდა რომელიღაც დაღუპული სულის კვნესად შეეცნო კაცს, თან რომ არ ხლებოდა ერთგვარი პირქუში მძვინვარება და შიმშილის სიმძაფრე. წინ მიმავალმა კაცმა თავი მიაბრუნა და თვალი თვალში გაუყარა ბოლოში მიმავალს. შემდეგ ვინრო, მოგრძო ყუთს შეხედა ორივემ და ერთმანეთს ნიშანდობლივად დაუქნიეს თავი.

კიდევე გაისმა ყმუილი, რომელმაც ხანჯალივით გაკვეთა მდუმარება. ორივე კაცმა ინიშნა ხმის ადგილი. ეს იყო უკან, სადღაც თოვლიან სივრცეში, ახლახან რომ გადმოლახეს. მესამე, საპასუხო ყმუილი კვლავ უკან, ოღონდ მეორისაგან მარცხენა მხარეს მოისმა.

– კვალში გვიდგანან, ბილ, – თქვა წინამ.

ხმა ხრინწიანი და არაბუნებრივი ჰქონდა. აშკარად ეტყობოდა, უჭირდა ლაპარაკი.

– საკბილო იშვიათია, – მიუგო ამხანაგმა, – რამდენი დღეა, კურდღლის კვალისთვისაც არ მომიკრავს თვალი.

კრინტი აღარ დაუძრავთ, თუმცა კი ყურადღებით უსმენდნენ მათ უკან გაბმულ ყმუილს.

ჩამოლამებისთანავე მდინარის ნაპირას, წინწარის კორომში შეუხვიეს, და დაბანაკდნენ. ცეცხლის პირას მდგარი კუბო სკამადაც გამოადგათ და მაგიდადაც, ნაგაზები კოცონის მეორე მხარეს შეჯგუფებულიყვნენ; იღრინებოდნენ და ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, ოღონდ ფეხს არ იცვლიდნენ, წყვდიადში გადავარდნა არ სურდათ.

– ჰენრი, მე მგონი ესენი მეტისმეტად ეტმასნებიან ბანაკს, – შენიშნა ბილმა.

ცეცხლთან ჩაცუცქულმა ჰენრიმ, რომელიც ყინულიან ყავადანს დგამდა, თავი დაუქნია. ოღონდ ხმა არ ამოუღია, სანამ თავის ადგილას არ დაჯდა კუბოზე და ჭამას არ შეუდგა.

– იციან, სად გადაირჩენენ ტყავს, – თქვა მან, – ურჩევნიათ თვითონ ჭამონ, ვიდრე თავად გახდნენ სხვების ლუკმა. დიდი ჭკუის კოლოფები არიან ეს ძალღებნი!

ბილმა თავი გაიქნია.

– ეჰ, რა ვიცი!

ამხანაგმა გაკვირვებით შეხედა.

– მიკვირს, რომ არ მეთანხმები.



– ჰენრი, – უთხრა მეორემ ლობიოს ნელი ღეჭვით, – ვერ შენიშნე, რა ორომტრიალი ჰქონდათ ძაღლებს, როცა ვაჭმევდი?

– ჩვეულებრივზე უფრო ხმაურობდნენ, – აღიარა ჰენრიმ.

– რამდენი ძაღლი გვყავს, ჰენრი?

– ექვსი.

– ჰოდა, ჰენრი... – ბილი ცოტა ხანს შედგა, რათა მის სიტყვებს მეტი ძალა შეჰმატებოდა, – როგორც ვამბობდი, ექვსი ძაღლი გვყავს. მეც ექვსი თევზი ამოვიღე აბგიდან. სათითაოდ ჩამოვურიგე ძაღლებს თითო თევზი და ერთი დამაკლდა!

– შეგშლია.

– ჩვენ ექვსი ძაღლი გვყავს, – გაიმეორა მეორემ დაბეჯითებით, – მე ამოვიღე ექვსი თევზი. ცალყურას არ შეხვდა და მისთვის კიდევ ერთი თევზი ამოვიღე.

– ჩვენ მხოლოდ ექვსი ძაღლი გვყავს, – თქვა ჰენრიმ.

– ჰენრი, – განაგრძო ბილმა, – მე არ ვამბობ, ისინი ყველანი ძაღლები იყვნენ-მეთქი, მაგრამ თევზები კი შვიდსა ხვდა წილად.

ჰენრიმ თავი მიანება ჭამას, თვალი გადაავლო ცეცხლს და ძაღლები დათვალა.

– ახლა ექვსია იქ.

– დავინახე, ერთი რომ თოვლში გაიქცა, – გულდაჯერებით განაცხადა ბილმა, – მე შვიდი დავთვალე.

ჰენრიმ სიბრაღულით შეხედა და თქვა:

– ნეტავ მალე გათავდებოდეს ეს გზა!

– ვითომ რა გინდა თქვა მაგით? – ჩაეკითხა ბილი.

– ის მინდა, რომ ეს ჩვენი ტვირთი ძალიან მოქმედებს შენს ნერვებზე და უკვე რალაცეები გეჩვენება.

– მეც ეგრე მეგონა, – მიუგო ბილმა მძიმედ, – და ამიტომ,

როცა დავინახე, ის თოვლში მირბოდა, დავხედე თოვლს და ნაკვალევიც შევნიშნე. მერე კიდევ დავთვალე ძაღლები და კვლავ ექვსი აღმოჩნდა. კვალი ახლაც ჩანს თოვლში. გინდა, განახო? განახებ, თუ გინდა!

ჰენრი აღარ გაპასუხებია, ჩუმად განაგრძობდა ჭამას, ზედ ერთი ფინჯანი ყავაც დააყოლა, ხელის ზურგით პირი მოინმინდა და მერე თქვა:

– მაშ, შენი აზრით, ეგ...

საიდანღაც მოსულმა გულისგამანვრილებელმა, ბრაზიან-მა და თან ნალვლიანმა ყმუილმა გაანყვეტინა სიტყვა. ჰენრიმ ყური მიუგდო, შემდეგ იმ მხარეს გაიქნია ხელი, საიდანაც ყმუილი მოდიოდა და დააყოლა:

– ...ერთი იმათგანია?

ბილმა თავი დაუქნია.

– მე ეგ უფრო მგონია, ვიდრე სხვა რამ. შენ თვითონ შენიშნე, რა ალიაქოთი ატეხეს ძაღლებმა.

ყმუილს ყმუილი მოსდევდა და სულ მალე დუმილი ჯოჯოხეთური ღრინაცვლით შეიცვალა. ხმა ყოველი მხრიდან ისმოდა. შეშინებული ძაღლები შეჯგუფდნენ და ისე მიეტმასნენ ცეცხლს, რომ აღმა ბალანი შეუტრუსათ. სანამ ჩიბუხს მოუკიდებდა, ბილმა კიდევ შეუკეთა ცეცხლს.

– მგონი, მართლა გადაიღალე, – შენიშნა ჰენრიმ.

– ჰენრი... – და სანამ კვლავ განაგრძობდა ლაპარაკს, ერთხანს ჩაფიქრებული ენეოდა ჩიბუხს, – ჰენრი, ეგ შენზედაც და ჩემზედაც ბევრად უფრო იღბლიანია.

და მესამე კაცზე ანიშნა ცერით ქვემოთ, ყუთისკენ, რომელზედაც ისხდნენ.

– მე და შენ, ჰენრი, როცა დავიხოცებით, დიდი ბედნიერება იქნება, თუ იმდენი მინა მაინც დააყარეს ჩვენს გვამებს, რომ ძაღლებმა არ დაგვიძიგონ.

– ჩვენ ხომ მაგასავით არც ნათესავები გვყავს, არც ფული გვაქვს და არც არაფერი, – მიუგო ჰენრიმ, – შორს წასვენებას ვერც შენ და ვერც მე ვერ ველირსებით.

– იცი, რა მიკვირს, ჰენრი: ეგეთი ჯეელი, თავის ქვეყანაში რომ ლორდი თუ რალაც მაგისტანა ვინმე ბრძანდებოდა და საქმლისა და ჩასაცმელ-დასახურავისთვის თავის შენუხება არ სჭირდებოდა, რატომ გადმოიხვენა ამ ღვთისგან თავმინებებულ ქვეყანაში?

– შეეძლო კარგა ღრმა მოხუცებულობამდეც მიეღნია, შინიდან ფეხი რომ არ გამოედგა, – კვერი დაუკრა ჰენრიმ.

ბილმა გააღო პირი საპასუხოდ, მაგრამ გადაიფიქრა და უსიტყვოდ ანიშნა გარშემო ჩამონოლილ ბნელ კედელზე. სრულ წყვილიაღში, სადაც არაფერი გაირჩეოდა, მხოლოდ ერთი წყვილი თვალი ბრიალებდა ნაკვერჩხლებივით. ჰენრიმ თავის დაქნევით მეორე და მესამე წყვილზე ანიშნა – მობრიალე თვალების წრე ახლოს მოსჯარვოდა ბანაკს. დროდადრო რომელიმე წყვილი თვალი გაინძრეოდა ან გაქრებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ჩნდებოდა.

ძაღლების შფოთვა მატულობდა. უცებ, ელდანაცემნი, სულ ახლოს მიაწყდნენ ცეცხლს; ფეხებში ეხლართებოდნენ და უძვრებოდნენ ადამიანებს. ერთი ძაღლი ცეცხლის ალშიც კი მოხვდა. ჰაერში შეტრუსული ბალნის სუნი დატრიალდა. შიშითა და ტკივილით გაოგნებული ნაგაზი შესაბრალის წკაფწკაფს მოჰყვა. არეულობამ ბრიალა თვალების წრეც შეაშფოთა და ცოტა უკან დაახევინა, მაგრამ ძაღლები რომ დაშოშმინდნენ, ისინიც კვლავ ძველებურად დალაგდნენ.

– ჰენრი, რა უბედურებაა, ვაზნები რომ აღარა გვაქვს!

ბილმა მოათავა ჩიბუხის ნევა და ამხანაგს მიემშველა ჯერ კიდევ ვახშობის წინ თოვლზე დაყრილ წინვიან ტოტებზე

ბენვეულისა და საბნების ლოგინის გაშლაში. ჰენრიმ წაი-  
ბუზლუნა და მოკასინების გახდას შეუდგა.

– რას ამბობდი, რამდენი ვაზნა დამრჩაო? – ჰკითხა მან.

– სამი, – იყო პასუხი, – და ნეტავ სამასი მქონდეს. მაშინ  
ვაჩვენებდი მაგათ სეირს!

გაგულისებით დაუქნია მუშტი მობრიალე თვალებს და  
გულმოდგინედ მიუწყო მოკასინები ცეცხლს.

– ნეტავ ეს ყინვა მოტყდებოდეს! – განაგრძო მან, – ამ ორ  
კვირას სულ ორმოცდაათია ნულს ქვემოთ... ნეტავ არც ამ  
გზას დაედგომოდი! არ მომწონს; რალაც გული მეთანაღრება.  
თან რაკი ნატვრაა, ნეტავ ეს გზა უკვე გავლილი გქეონდეს;  
სწორედ ახლა ორივენი ვისხდეთ ცეცხლის პირას მეკ-გერის  
ფორტში და კრიბიჯს ვთამაშობდეთ... აი, ამას ვნატრობ!

ჰენრიმ წაიბუზლუნა და საბნის ქვეშ შეძვრა. ის იყო, ჩათ-  
ვლიმა, რომ ამხანაგის ხმამ გამოაფხიზლა.

– ერთი მითხარი, ჰენრი, ის რალაც რომ შემოიპარა და  
თევზი დაითრია... რატომ ძალღებმა არ შეუტიეს?

– ნამეტანს შფოთავ, ბილ, – უპასუხა თვლემამორეულმა  
ამხანაგმა, – წინათ ეგრე არ იცოდი. თავი დაანებე ფიქრს,  
დაიძინე და დილით ჩინებულად იქნები. სტომაქი განუხებს  
და ეგ არის, მეტი არაფერი!

მათ გვერდიგვერდ, ერთ საბანქვეშ ეძინათ. მძიმედ  
სუნთქავდნენ. ცეცხლი მინელდა და ბრიალა თვალების  
წრე უფრო დავინროვდა ბანაკის ირგვლივ. ერთად მიყუ-  
ყული, შეშინებული ძაღლები მრისხანედ იღრინებოდნენ,  
როცა რომელიმე წყვილი თვალი ახლოს მოიწევდა. ერთხელ  
ისეთი ღრიანცელი ატეხეს, რომ ბილს გაეღვიძა. ფრთხილად  
გამოძვრა ლოგინიდან, რომ ამხანაგი არ გაეღვიძებინა, და  
ცეცხლს შეუკეთა. ალი რომ ავარდა, ბრიალა თვალების წრემ  
ისევ უკან დაიხია. ბილმა შეჯგუფებული ძაღლების ხრო-

ვას გადახედა შემთხვევით. თვალები მოიფშვნიტა და კიდეც უფრო დააკვირდა. მერე ისევ საბანქვეშ შეძვრა.

– ჰენრი, – ჩასძახა მან, – ჰენრი!

ჰენრიმ, ძილიდან რომ ერკვეოდა, ნამოიკვნესა და ჰკითხა:

– ახლა რაღა ჯანდაბა მოხდა?

– არაფერი, – იყო პასუხი, – ისევ შვიდნი არიან. სწორედ ახლახან დავთვალე.

ჰენრიმ ბუზღუნით მოისმინა ეს ცნობა. კვლავ ძილს მისცა თავი და ხვრინვა ამოუშვა.

დილით პირველმა ჰენრიმ გამოიღვიძა და ამხანაგიც გააღვიძა. რიჟრაჟამდე ჯერ კიდეც სამი საათი იქნებოდა, თუმცა, უკვე ექვსი საათი იყო. ჰენრიმ სიბნელეში საუზმის შემზადება დაიწყო; ხოლო ბილმა საბნები შეგრაგნა და მარხილის განყოფილება შეუდგა.

– ერთი მითხარი, ჰენრი, – უცბად იკითხა მან, – რას ამბობდი, რამდენი ძალღი გვყავსო?

– ექვსი.

– ტყუილია, – ნიშნის მოგებით განაცხადა ბილმა.

– მაშ, ისევ შვიდია?

– არა, ხუთი, ერთი დაიკარგა.

– დალახვროს ეშმაკმა! – შეჰყვირა განრისხებულმა ჰენრიმ; თავი დაანება მზარეულობას, მივიდა ძაღლებთან და დათვალა.

– მართალი ხარ, ბილ, – დაასკვნა მერე, – ფეტი გამქრალა!

– მოგვჭამა ჭირი, თვალით ვეღარ ვიხილავთ!

– სულ ცოცხლად შესანსლავდნენ, – კვერი დაუკრა ჰენრიმ, – რამდენს ინკავნკავებდა, ძიძგნას რომ დაუნყებდნენ; დასწყევლოს მათი თავი!

– ყოველთვის სულელი იყო ეგ ძაღლი! – თქვა ბილმა.

– მაგრამ რაც უნდა სულელი იყოს ძაღლი, იმდენი ჭკუა

მაინც უნდა ეყოს, ეგეთი თვითმკვლელობა არ ჩაიდინოს, – ჰენრიმ დაფიქრებით გადახედა დარჩენილი ძაღლების ხროვას და მაშინვე სათითაოდ აწონ-დანონა ყოველი ცხოველის დამახასიათებელი თვისებები, – სანაძლეოს დავდებ, თუ სხვა რომელიმემ ჩაიდინოს ეგ!

– მაგათ ჯოხითაც ვერ მოაცილებდი ცეცხლს, – დაეთანხმა ბილი, – ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ფეტი რაღაცას ურევდა.

აი, ეს გახლდათ მკვდარ ძაღლზე ნათქვამი გამოსათხოვარი სიტყვა უდაბურ ჩრდილოეთში – ნაკლებად ძუნწი, ვიდრე სხვა ბევრი ძაღლისა და ადამიანის გამოსათხოვარი.